



სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080144363553419

№ 4389

06 / ნოემბერი / 2019
წ.

შპს „Funday Entertainment“-ის გაფრთხილების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: ააიპ „ქ. ბათუმის კულტურის ცენტრი“;

ტენდერის ნომერი: NAT190005215;

შესყიდვის ობიექტი: 79900000 – სხვადასხვა კომერციული მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები;

მიმწოდებელი: შპს „Funday Entertainment“ (ს/ნ: 417879255);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2019 წლის 6 სექტემბერს წარმოდგენილ იქნა ააიპ „ქ. ბათუმის კულტურის ცენტრის“ 2019 წლის 5 სექტემბრის №132/01-14 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის №9608), რომლითაც სააგენტოს ეცნობა შპს „Funday Entertainment“-ის (ს/ნ: 417879255) მიერ NAT190005215 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2019 წლის 5 აპრილის №35 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.2. მიმწოდებელს სააგენტომ, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის tevdoremakashvili@gmail.com მეშვეობით, 2019 წლის 9 სექტემბრის №3531 წერილით აცნობა შემსყიდველი ორგანიზაციის შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა.

1.3. მიმწოდებელმა 2019 წლის 17 სექტემბერს სააგენტოში წარმოადგინა 2019 წლის 16 სექტემბრის განმარტება (რეგისტრაციის №9947) 2019 წლის 5 აპრილის №35 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა 2019 წლის 5 აპრილის №35 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. ამასთან, გასულია ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

3. მიმწოდებლის პოზიცია

3.1. მიმწოდებლის განმარტების თანახმად, იგი მხოლოდ ნაწილობრივ ეთანხმება შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიციას, რამდენადაც მან ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ნაწილი ვერ განია მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. მიმწოდებელი განმარტავს, რომ მის მიერ მოწყობილი ქსელი გათვლილი იყო მხოლოდ ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქტივობებისთვის

(კომპიუტერების, გიფისა და ნაყინის აპარატის დამონტაჟება და ა.შ), ხოლო შემსყიდველმა ორგანიზაციამ, მიმწოდებლის ნებართვის გარეშე, 2019 წლის 31 მაისს (ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ჩატარებამდე ერთი დღით ადრე), მიმწოდებლის მიერ მოწყობილ ქსელზე დააერთა მთავარი სცენის ელექტროენერგია, რამაც გამოიწვია მთელი ქსელის დაზიანება, ელექტროენერგიის გათიშვა, ასევე სადენებისა და გამანაწილებლების გადანვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმწოდებელს, შემსყიდველ ორგანიზაციასთან შეთანხმებით, მოუწია ახალი სადენების შექმნა და ელექტროენერგიის პრობლემის მოგვარება, რასაც დასჭირდა დიდი დრო და შესაბამისად, შეუძლებელი გახდა მიმწოდებლის მიერ ადგილზე ჩატანილი კომპიუტერების, ტენტებისა და დროშების დამონტაჟება.

3.2. მიმწოდებელი ასევე განმარტავს, რომ იგი იზიარებს შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიციას გიფის აპარატის მონტაჟთან დაკავშირებით, რამდენადაც აღნიშნული აპარატი ღონისძიების გამართვის დღეს გამოვიდა ნყობიდან და მიმწოდებელმა ვერ მოასწრო მისი სხვა აპარატით ჩანაცვლება.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2019 წლის 13 მარტს ააიპ „ქ. ბათუმის კულტურის ცენტრმა“ გამოაცხადა NAT190005215 ელექტრონული ტენდერი სხვადასხვა კომერციული მომსახურებისა და მასთან დაკავშირებული მომსახურებების (CPV79900000) შესყიდვის მიზნით.

4.2. სატენდერო კომისიის 2019 წლის 1 აპრილის №3 სხდომის ოქმით, გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „Funday Entertainment“ (ს/ნ: 417879255) და ამავე სხდომის ოქმით, იგი მინველ იქნა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად.

4.3. 2019 წლის 5 აპრილს მხარეთა შორის გაფორმდა №35 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციისთვის უნდა გაენია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება 2019 წლის 1 ივნისს. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 30 350 ლარი, ხოლო მოქმედების ვადა – 2019 წლის 30 ივლისამდე.

4.4. საქმეში არსებული ააიპ „ქ. ბათუმის კულტურის ცენტრის“ ღონისძიებების ორგანიზებაზე შესასრულებელი სამუშაოების ზედამხედველობისა და მიღება-ჩაბარების მიზნით შექმნილი კომისიის თავმჯდომარის 2019 წლის 4 ივნისის მოხსენებითი ბარათის თანახმად, მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. ამავე მოხსენებითი ბარათის თანახმად, მიმწოდებელმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული 10 ცალი სტენდის ნაცვლად, დაამონტაჟა 3 ცალი სტენდი. ამასთან, მიმწოდებელმა 3 ცალი ფერადი ნიშნულის ნაცვლად, დაამონტაჟა მხოლოდ 1 ცალი ნიშნული, ხოლო 500 მეტრიანი დროშების ნაცვლად – 100 მეტრიანი დროშები. გარდა ამისა, მიმწოდებელმა 12 ცალი კარავის ნაცვლად, შემსყიდველ ორგანიზაციას მიაწოდა 9 ცალი კარავი, რომელთაგან არცერთი არ იყო მორთული. მიმწოდებელმა ასევე 8 ცალი კომპიუტერის ნაცვლად განათავსა მხოლოდ 6 ცალი კომპიუტერი, ხოლო 2 ცალი გიფის აპარატის ნაცვლად, დაამონტაჟა 1 ცალი გიფის აპარატი.

4.5. მიმწოდებელმა 2019 წლის 6 ივნისის წერილით, შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა, რომ მან განია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება. ამავე წერილით, მიმწოდებელმა მოითხოვა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

4.6. მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად, მიმწოდებელმა შეასრულა 27 280 ლარის ღირებულების ვალდებულებები (სრული მოცულობის 90%).

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „Funday Entertainment“-ს უნდა მიეცეს გაფრთხილება.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4

პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. განსახილველ შემთხვევაში, სააგენტო ყურადღებას ამახვილებს მიმწოდებლის პოზიციაზე და განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, გარდა ელექტრონურ პრობლემით გამოწვეული ხარვეზისა, როგორც საქმეში არსებული დოკუმენტაციით (მათ შორის, მიმწოდებლის განმარტებით) დგინდება, გიფის აპარატი ღონისძიების გამართვის დღეს გამოვიდა წყობიდან, ხოლო მისი ჩანაცვლება ვერ მოხერხდა და შესაბამისად, მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდა მხოლოდ ერთი აპარატის მინოდებაზე. სააგენტო განმარტავს, რომ აღწერილი ვითარება არ წარმოადგენს მიმწოდებლის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ ან მისგან განმათავისუფლებელ გარემოებას და მიიჩნევს, რომ არსებობს მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი.

7.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/ მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების თუ შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს, მისი სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის აქტივობას.

7.5. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, გაფრთხილების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი წერილობითი შეტყობინება სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, მაგრამ პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებით დაირღვევა თანაბრობის პრინციპი. გაფრთხილება გამოიყენება ერთხელ და მოქმედებს ერთი წლის განმავლობაში. გაფრთხილებულ მიმწოდებელთა სიას სააგენტო განათავსებს ვებგვერდზე.


7.6. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებულ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. განსახილველ შემთხვევაში, მართალია, მიმწოდებელმა არაჯეროვნად, შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და არ არსებობს მისი პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებები, თუმცა სააგენტო ითვალისწინებს მიმწოდებლის მიერ ჯეროვნად შესრულებული ვალდებულების მოცულობას (სრული მოცულობის 90%). ამდენად, სააგენტო მიიჩნევს, რომ, ამ ეტაპზე, შპს „Funday Entertainment“-ის შავ სიაში დარეგისტრირებით დადგება არათანაბრობის შედეგი და მიზანშეწონილია მის მიმართ გაფრთხილების გამოყენება.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტით და დაადგინა:

- 1. შპს „Funday Entertainment“-ს (ს/ნ: 417879255) 2019 წლის 6 ნოემბერს მიეცეს გაფრთხილება.
- 2. დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს სააგენტოს ვებგვერდზე შესაბამისი ჩანაწერის გაკეთება.
- 3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე



ლევან რაზმაძე